დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2021 წლის 25 მარტის N 12/21 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2024 წლის 29 აპრილის N 12/24 ოქოთ

სწავლების მეთოდი:	აღწერა:
ლექცია-სემინარი	ინფორმაციის შემცველი, წინასწარ მომზადებული სიტყვა აუდიტორიის წინაშე, რომლის საშუალებით ხდება კურსით გათვალისწინებული ძირითადი მასალის ახსნა და ინტერპრეტირება. მეთოდი მოიცავს ახსნილი მასალის გამოკითხვის ელემენტებს
ახსნა-განმარტებითი მეთოდი	აღნიშნული მეთოდის საშუალებით ლექტორი ხსნის კონკრეტული თემის საკვანძო საკითხებს და გასაგებს ხდის სტუდენტის თვის ლექციის თემატიკას როგორც კითხვებზე პასუხის გაცემით, ასევე მაგალითების მოყვანითა და განმარტებით. მეთოდი შესაძლებელს ხდის ლექტორის მითითითების საფუძველზე სტუდენტმა დამოუკიდებლად შეძლოს მასალის დამუშავება
დემონსტრირების მეთოდი	თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მონაცემთა, აუდიო მასალის, სასწავლო ფილმების, ინტერნეტწყაროების გამოყენება ლექციაზე; ენების სწავლების ლაბორატორიის შემთხვევაში აუდირების მასალის გამოყენებით ენობრივი კომპეტენციისა და კომუნიკაციური უნარების გაუმჯობესება
ინტერაქტიული ლექციები	სტუდენტის ჩართულობა სალექციო პროცესში, ლექტორსა და სტუდენტს შორის სალექციო თემის ირგვლივ საკითხების ერთობლივი განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში, რომლის დროსაც სტუდენტები მონაწილეობენ დისკუსიაში, გამოთქვამენ თავიან მოსაზრებებს, სვამენ ახალ საკითხებს, რომლის გარშემოც ლექტორი აკეთებს განმარტებას
სიახლეთა გარჩევა	ლექციის თემის ირგვლივ უახლესი ინფორმაციის გაცნობა და ანალიზი
პრაქტიკული მუშაობა	თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაციის მიზნით პრაქტიკული ამოცანების და დავალებების შესრულება, ჰიპოთეტური პრობლემების გადაჭრა და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტა. პრაქტიკული მუშაობა საველე არქეოლოგიური ექსპედიციის, სამუზეუმო პრაქტიკის, საგამოფენო საქმის, სამართლებრივი კონსულტაციების, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების კუთხით

გუნდური მუშაობა	აკადემიურ ჯგუფებში მცირერიცხოვანი გუნდების ჩამოყალიბება, გუნდში მუშაობის უნარების გასანვითარებლად. მათ შორის ერთგვარი კონკურენციის წახალისება, სასწავლო მასალი ს ფორმატში კონკრეტული ჯგუფური დავალების/პროექტის უკეთესად მომზადება/წარდგენის მიზნით; გუნდებში ლიდერული უნარების განვითარება, შეჯიბრებითობის უნარის განვითარება, გუნდის წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილება
კრიტიკული ანალიზი	ლექციის თემის საკითხების კრიტიკული ანალიზი, განსხვავებული მიდგომების და მეთოდების განხილვა, შედარება და დასკვნების გამოტანა
პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სავარჯიშოები	პრობლემის გამომწვევი მიზეზის დადგენა და მისი აღმოფხვრისათვი სსაჭირო მოქმედებების განსაზღვრა. პრობლემის გადასაჭრელად რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების გამოყენება
შემთხვევის შესწავლა და ანალიზი (Case Study)	სწავლების მეთოდი, რომელიც მოიცავს წარსულში მომხდარი რეალისტური მოვლენის ან შემთხვევის აღწერას, როდესაც პრობლემური საკითხის ანალიზის საფუძველზე სტუდენტი იღებს გადაწყვეტილებას. სტუდენტი ახდენს წარსულში მიღებული ცოდნის შეჯერებას, შეფასებას და პრაქტიკაში გამოყენებას
ლიტერატურის მიმოხილვა	ლექციის თემასთან დაკავშირებული სასწავლო ლიტერატურის გაცნობა, ასევე ლექტორის მიერ რეკომენდირებული უახლესი ინფორმაციის დამუშავება, რეფერატის მომზადებისას საჭირო წყაროების გაცნობა და დამუშავება
წიგნზე მუშაობის მეთოდი	სასწავლო კურსით გათვალისწინებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი
შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში	მიცემული დავალების შესრულების მიზნით რელევანტური მასალის დამოუკიდებლად მოძიება, მათ შორის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ელექტრონულ ბიბლიოთეკებსა და/ან ინტერნეტ სივრცეში

წერითი მუშაობის მეთოდი	ტესტური მუშაობა, ქვიზების, სავარჯიშოებისა და ამოცანების (კაზუსების) ამოხსნა, ძირითადი და დამატებითი სასწავლო მასალის საფუძველზე ესეებისა და/ან რეფერატების მომზადება, ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა
ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი	ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ.აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ, ითვისებენ და გადასცემენ აუდიტორიას
დისკუსია/დებატები	გულისხმობს სტუდენტების დისკუსიაში გამოწვევას, ლექტორის ან სტუდენტის მიერ დასმულ საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით აზრის დაფიქსირებასა და არგუმანტაციას; საკითხის ირგვლივ განსხვავებული მოსაზრებების განხილვას და არგუმენტირებული, ლოგიკური მსჯელობით შედეგამდე მისვლას
სიმულაცია	კომპლექსური სწავლების მეთოდი, რომლის დროსაც ხდება რეალურ გარემოში მიმდინარე მოვლენებზე დაყრდნობით ჰიპოთეტური პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობა. სიმულაციის პროცესში განსაზღვრული მიზნის მისაღწევად ხდება როლების გადანაწილება, რესურსებით უზრუნველყოფა და მასზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება. კონტროლდება რეალური სიტუაციის შესაბამისი პარამეტრები, და მათზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება უზრუნველყოფს კრიტიკულ და ანალიტიკურ აზროვნებას. სიმულაციის პროცესში ხდება წარსულში მიღებული ცოდნის თვამოყრა, გაღრმავება და პრაქტიკაში გამოყენება
როლური თამაშები	სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. როლური თამაშები უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში

	მისი დაცვის უნარს
ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი	სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდ ან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალურ გაშუქება. სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების და ჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას
პრეზენტაციების წარდგენა	ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვა Powerpointის გამოყენებით
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (Problem Based Learning)	მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას, საკვლევ/სადისკუსიო კითხვას. ეს მეთოდი ხელს უწყობს კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარებას
ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (Action Based	მეთოდი, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელოვანია თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია და

Learning)	გულისხმობს თეორიულად შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას პრაქტიკული დავალების შესრულების, ამოცანის ამოხსნის, პრობლემის გადაჭრის გზით, რაც სტუდენტს უვითარებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარებს
პროექტებზე დაფუძნებული სწავლება (Project Based Learning)	მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტების მიერ პროექტებზე მუშაობას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რის ფარგლებშიც მათ ევალებათ რეალური პრობლემების გადაჭრა ან რთული კითხვისთვის პასუხის გაცემა და პროექტის საბოლოო პრეზენტაცია. შედეგად, სტუდენტს უვითარდება ღრმა შინაარსობრივი ცოდნა, კრიტიკული აზროვნების, კრეატიულობის, აკადემიური წერისა და კომუნიკაციის/პრეზენტაციის უნარ-ჩვევები და გარკვეულ შემთხვევებში, პრაქტიკული უნარები
სწავლება კეთებით (Learning by Doing)	ამ პედაგოგიურ მიდგომას საფუძვლად უდევს ფილოსოფია, რომ ცოდნა ყველაზე ეფექტურად შეიწოვება აქტიური ჩართულობისა და უნარების პრაქტიკული გამოყენების გზით. მეთოდი ხელს უწყობს კურსის მასალის უფრო ღრმა გაგებას, რადგან სტუდენტები სწავლობენ არა მხოლოდ თეორიულ ცნებებს, არამედ როგორ გამოიყენონ ისინი პრაქტიკაში. ეს პირდაპირი ურთიერთქმედება საგანთან აძლიერებს კრიტიკული აზროვნების და პრობლემის გადაჭრის უნარს, გადამწყვეტ კომპეტენციებს ნებისმიერ პროფესიულ გარემოში. გარდა ამისა, ის ხელს უწყობს ისეთი რბილი უნარების განვითარებას, როგორიცაა გუნდური მუშაობა, კომუნიკაცია და ადაპტირება, ხშირად მოითხოვს სტუდენტებს ჯგუფურად მუშაობას და დინამიურ სიტუაციებში ნავიგაციას. სწავლის კეთების მეთოდის ეფექტურობა მდგომარეობს მის უნარში, გადალახოს უფსკრული აკადემიურ სწავლებასა და პრაქტიკულ გამოყენებას შორის, რითაც წარმოქმნის კურსდამთავრებულებს, რომლებიც უკეთ არიან აღჭურვილი თავიანთი ინდუსტრიის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

სიმულაციური სწავლება (Simulation Study)	სიმულაციური სწავლება სამაგისტრო დონეზე არის საგანმანათლებლო მიდგომა, რომელიც იყენებს რეალისტურ, ინტერაქტიულ გარემოს რეალურ სამყაროში არსებული სცენარების, გამოწვევების ან პროცესების გასამეორებლად, რომლებიც დაკავშირებულია სტუდენტების სასწავლო სფეროსთან.ეს მეთოდი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოიყენონ თეორიული ცოდნა, განავითარონ პრაქტიკული უნარები და მიიღონ კრიტიკული გადაწყვეტილებები კონტროლირებად, რისკის გარეშე.
ელექტრონული სწავლების მეთოდი (E-learning method)	ელექტრონული სწავლების მეთოდი იყენებს ციფრულ პლატფორმებსა და ტექნოლოგიას საგანმანათლებლო შინაარსის მიწოდებისთვის, რაც საშუალებას იძლევა მოქნილი, თვითნაკეთი სწავლა. ის მოიცავს ციფრული რესურსების ფართო სპექტრს, მათ შორის ონლაინ კურსებს, ვებინარებს, ვირტუალურ საკლასო ოთახებს, სასწავლო კურსში ან კურსებში ჩაშენებულ პლათფორმებს, ელექტრონული პლათფორმის შედარებით ან გამოყენებით სწავლებას.